საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 25 იანვარი, 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი ხარჯვ გვერდზე ყოველ სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნახევ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 18 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 18

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო იწვევს ქართველ მწერლებს და ქართველ საზოგადოებას მობრძანდენ კვირას, 25 იანვარს, დიდუბის ეკლესიის გალავანში—პანთეონში, სადაც მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო გადახდილ იქნება სიკვდილიო და სამოქალაქო პანაშვიდები საქართველოს თავისუფლების მონატრულ პოეტ მწერალთა:

ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევდოშვილის, არჩილ ჯორჯაძის, პიტა აბაშიძის, ლალიონის, იაკობ გოგებაშვილის, ნინო ორბელიანის

და სხვა მოღვაწეთა ნაღვაწის გასახსენებლად და სახელის მოსახსენებლად. სიტყვებს წარმოსთქვამენ: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ივანე გომართელი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვანი. (6. 2—2)

მშობლები: ბესარიონ და ვარდიკო, ძმები: კოსტა, ლუკა, თასონი, ალიოშა, მინადორა და ბარბალე ნოდიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სიმონ ბესარიონის ძე ნოდია

დასაფლავება 27 იანვარს დილით სამშაბათს ს. აბაშაში. (1—1)

ღრმათ დაგვამწუხრა ჯერ კიდევ ახალგაზრდა

პავლე დათას ძე კალანდაძის

უდროოთ გარდაცვალებამ, ცხარე ცრემლებით დავსტირით პატარა გვამს და ვანუგეშებთ მშობლებს. კატო, ქეთო, იაშა, გიორგი, ანდრია და სილიბისტრო კალანდაძეები. (293 1—1)

მე-3-მე საარტილერიო დივიზიონი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 26 ამა თვეს გარდაცვალების წლის თავზე დაუვიწყარ გენერალ

გიორგი სარდიონის ძე ამირეჯიბისა

იქნება გადახდილი პანაშვიდი ქალ. გორის საკათედრო ტაძარში 11 ს. და სოფ. სალოლაშენში (გორის მაზ.) სასაფლაოზე 12 საათზე. (293 1—1)

ეროვნულ კავშირის კომიტეტი
გადავიდა ახალ ბინაზე
რუსთაველის პროსპ. № 24, (ყოფილი გაზ. „ერთობის" ბინა.) (2—2)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ავტო-ტექნიკური განყოფილების მიერ
მ. წ. 1 თებერვალს, დილის 11 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება შემდეგი ავტომობილები: 1) ლორენ-კლემენტი—8 ძალ. შეფასებული 10,000 მან., 2) ოპელი 6 ძ ლ., შეფასებული 20,000 მ., 3) სტეიერი, 6 ძალ. შეფასებული 30,000 მ., 4) მენცი, 8 ძალ. შეფას. 12,000 მან. 5) მენცი 20 ძალ. შეფას.—50,000 მან. 6) ნ. ა. გ. 18 ძალ. შეფას.—20,000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძალ. შეფას.—13,000 მ. 8) ფორდი 22 ძალ. შეფას.—5,000 მ., 9) რუსულ-ბალტიური 16 ძალ. შეფას.—20,000 მ., და 10) პეჟო (ნახევრად საბარგო) 16 ძალ. შეფას.—30,000 მან. მისამართი: ელისაბედის ქ. სახლი № 119.
სახ. გვ. მთავარი შტაბი. (228—6—2)

შრომის სამინისტროს
მუშათა მაგიდა
აცხადებს საყურადღებოდ იმ მუშათა და მოსამსახურეთა—რომელთაც ჯერ არ მიუღიათ თავისი წილი შაქა (ერთი მერვედი საქ.) დაეჩქარონ მისი მიღება მ. წ. 10 თებერვლამდე, რომლის შემდეგ დაიწყება მეორე რაციონის (მეორე მერვედის) დარიგება.
შაქრის მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის სასურსათო საწყობში შრომის სამინისტროს მიერ შემოწმებული სიების თანახმად. (6. 3—1)

განცხადება
სტუდენტის დღე
ორშაბათი 26 იანვარი.
არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, რომელიც ამ დღისათვის საგანგებოდ იქნება მორთული, გაიმართება დ ი დ ი ს ა ღ ა მ ო, შემდეგი პროგრამით:

I

1. ჰიმნი —ფოცხვერაშვილისა (შეასრულებს გვარდიის დივიზიონის ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის დირიჟორობით).
2. სტუდენტთა გუნდი.—
3. სიტყვა პროფ. შალვა ნუცუბიძისა.

II

6. 6. ჩერეპნინი (როიალი), ვოლ-ლევიცკაია (რომანსები), ფიშბერგი (ვიოლონი), აგასოვა-კალანდაძე და როგაჩევსკი (დუეტი „ქეთო და კოტე"-დან), ინაშვილი, სარაჯიშვილი, იმერლიშვილი, სტუდ. ბიწკანაშვილი, დები თარხნიშვილები (სიმღერა).

III

სალიტერატურო განყოფილება ს. აბაშელი, ბაჩანა, პაოლო იაშვილი თავუნა, მარიჯან, ვალ. დოლიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი.

გრანდიოზული კაბარე

ცეკვა: ქ-ნი ცაციშვილისა, სეკარესკა, ვასკანიან, ანდრონიკაშვილი.
სიმღერა: ვენაძე—ინაშვილი, კურბატოვი და ქურხული (დუეტი) ბექანოვაოქროპირიძე ანტონოვი, დარსკი.
კონფერანსიე პ. იაშვილი.

ა უ ქ ც ი ო ნ ი

საღამოს დიასახლისნი: მ. რამიშვილისა, ო. ხვანიშვილისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაბარესი—12 საათზე.
საქართველოს დაბა ქალაქებში, ქუთაისში,—სენაკში, ხონში, თელავში, დუშეთში, ბაშუში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ბორჯომში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, ჭიათურაში, ხეთაში, ცაგერში, ახალ-ციხეში და სხვა მოიწყობა ქართველ სტუდენტის დღე. (298—1—1)

## გზათა დეპარტამენტი ამით აცხადებს

რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია ტყვიბულის ქვანახშირის გასაღება გადაეცეს საგენტოს, რომელსაც ქვანახშირი დაემობა კერძო პირებზე გასაყიდად დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული პროცენტების დაკლებით. საგენტო ვალდებული იქნება წლიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვა ნახშირისა გაიტანოს მაღაროებიდან გასაყიდად და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში, ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულობის პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში. კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში კი ნაშუადღევს 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50,000 მანეთი და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინოს თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50,000 მანეთი უკანვე დაუბრუნდება შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.

გზათა დეპარტამენტი.

(6. 5—1)

ექიმი ხარდიონ ამბროსის ძე
ცეხანოვსკი
სამიონი ქუჩა საკ. სახლი № 28 ეგანგელოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.
ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914)
მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოდ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს.
(თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი.
(6.—თ.).

ჩემი შვილი უფროსი „უნტერ-ოფიცერი" პლატონ გიორგის ძე ჩიტაიშვილი მსახურებდა 110 საიადარიგო ბატალიონში, უკანასკნელად იმყოფებოდა ოლთისში. აგერ ხუთი წელიწადია მის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს სოფ. ბახვში (ოზურგ. მაზ.) გიორგი ჩიტაიშვილს. (ფ. 1—1)

## სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა

საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის პირველ დღეებში, როდესაც ყველას გული სიხარულით და ზეიმით იყო ავსილი, მმართველ პარტიის პრესაში, მიტინგებზე, დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომაზე—ყველგან ერთი და იგივე აზრი იყო გამოთქმული: ჩვენს სიხარულს ანელებს ის გარემოება, რომ უმაღლეს საბჭოდან მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს და აზერბეიჯანთან ერთად სომხეთის სახელიც არ იყო აღნიშნული, ჩვენ მაშინვე გამოვთქვით იმედი, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობაც მოკლე დროის საკითხია.

და დღეს ეს იმედი გაგვიმართლდა. გუშინდელმა დეპეშამ შეგვატყობინა, რომ იმავ უმაღლეს საბჭოს სომხეთის დამოუკიდებლობაც უცვნია.

ამნაირად სომხეთიც შედის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საზეიმო ფერხულში. ჩვენ გულწრფელად მივულოცავთ სომხეთის დემოკრატიას ამ ფუიდეს მონაპოვარს, რაც კი რევოლუციამ შესძინა მას დღიდან მისი დაწყებისა. ჩვენ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ იმ აზრს, რომელიც რევოლუციის დასაწყისშივე გამოსთქვა ირაკლი წერეთელმა ამიერ-კავკასიის ერთა შესახებ: ამიერ-კავკასიის ერები ან ყველანი ერთად იცოცხლებენ და გამაგრდებიან, ან ყველანი ერთად დაიღუპებიან; ცალკე ვერც ერთი ერი ვერ ააგებს თავის ბედნიერებას სხვა ერების უბედურების ნიადაგზე. რაც ითქმის ამიერ-კავკასიის ერებზე, ისევე ითქმის ეროვნულ სახელმწიფოებზედაც. ეს უდავო ჭეშმარიტება ძნელად, ნელნელა, მაგრამ მტკიცედ შეიჭრა ყველა მეზობელ რესპუბლიკების შეგნებაში და მთელი ამიერ-კავკასიური პოლიტიკა თანდათან ამ საფუძველზე შენდება.

იმ დეპეშაში, რომელმაც სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობის ამბავი მოგვიტანა, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ეს გადაწყვეტილება შეეხება სომხეთის სახელმწიფოს მხოლოდ იმ სახით, რომლითაც იგი დღეს არსებობს, ესე იგი ქალაქ ერევნით, და აშკარა უნდა იყოს, რომ ეს ცნობა სრულიადაც არ შეეხება ოსმალეთის სომხეთს". ამ სიტყვებიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ უმაღლეს საბჭოს დადგენილება ეხება იმ სომხეთს, რომელიც შედიოდა რუსეთის საზღვრებში. საზოგადოთ, როგორც სჩანს, უმაღლეს საბჭოს დღიურ წესრიგში უკანასკნელ ჟამს დაყენებული ყოფილა ამიერ-კავკასიის საკითხი, მხოლოდ ამ საკითხის ფარგლებში სწარმოებდა მსჯელობა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის შესახებ და გადაწყვეტილებაც ამ ფარგლებს არ გადასცილებია. ახლო მომავალში, როდესაც დღიურ წესრიგში ოსმალეთის საკითხი დადგება, უმაღლესი საბჭო კიდევ ერთხელ დაუბრუნდება ჩვენი რესპუბლიკების საკითხებს, განსაკუთრებით სომხეთის საკითხს და აგრეთვე საქართველოს საკითხსაც.

როდესაც უმაღლესი საბჭო ოსმალეთის ბედის გადაწყვეტას შეუდგება, ჩვენმა რესპუბლიკებმა უნდა ერთი რამ მოითხოვონ მისგან: ოსმალეთის საკითხის გადაწყვეტის დროს მან ფართოდ უნდა გამოიყენოს ის პრინციპი, რომელიც მან თავის მუშაობის დასაწყისში თითონვე სახელმძღვანელოდ მიიჩნია—პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა. თუ არ ამ პრინციპის მიხედვით, სხვანაირად ოსმალეთის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა შეუძლებელია.

დღეს უდაო ჭეშმარიტებათ შეიძლება ჩავთვალოთ ის აზრი, რომ ჩვენი რევოლუცია ეროვნულ სახელმწიფოთა დაარსებისაკენ მიილტვის. ყველაზე ძლიერ ეს ლტოლვილება, შეიძლება, ამიერკავკასიაში იყოს შესამჩნევი. ამიერ კავკასიის სახელმწიფოები იარსებებენ მხოლოდ როგორც ნაციონალური, ეროვნული სახელმწიფოები. ეს მცნება—„ნაციონალური სახელმწიფო" საუცხოვოდ განმარტა კ. კაუცკიმ:

„ნაციონალური სახელმწიფო, ამბობს იგი, შეიძლება ვუწოდოთ იმისთანა სახელმწიფოს, სადაც ერთი ნაცია იმდენათ სჭარბობს ყველა დანარჩენებს, რომ ამ უკანასკნელებს ფიქრადაც ვერ მოუვათ სადავოთ მიიჩნიონ მისი ჭარბობა. სახელმწიფო, სადაც თავისთავად ნაგულისხმევად შეიძლება ჩაითვალოს, რომელი ენა უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ენა, ე. ი. ენა მმართველობის, სამხედრო ხელისუფლების, კანონმდებლობის და სასამართლოსი; და ეს გარემოება სხვა ერთა წევრებს ცუდ შემთხვევაში შეიძლება ემწვავებოდეს, მაგრამ არა-სამართლიან მოვლენათ კი არავინ ჩასთვლის".

ამნაირ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნისკენ უნდა მივილტვოდეთ ჩვენც, ამიერკავკასიის რესპუბლიკები. ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ ჩვენს ფარგლებში შემოვიტანოთ რომელიმე ისეთი დიდი ნაწილი ტერიტორიისა, სადაც ერთი რომელიმე ერი „იმდენათ აშკარად არ სჭარბობს დანარჩენებს", რომ ამ უკანასკნელებს „სადავოთ მიაჩნიათ მისი ჭარბობა". არ გვინდა ჩვენ დიდი ტერიტორია, ოღონდ ჩვენს რესპუბლიკაში იყოს მტკიცე წონასწორობა და ამით წარმოშობილი ეროვნული მშვიდობიანობა.

სომხეთის სიხარული არ უნდა განელოს იმ გარემოებამ, რომ ჯერჯერობით მის საზღვრებში არ შემოვიდა ტერიტორია ოსმალეთის სომხებით დასახლებული. ჯერჯერობით, კულტურულად, ეკონომიურად გავამაგროთ ჩვენი რესპუბლიკები იმ საზღვრებში, რომლებშიაც დღეს დამოუკიდებლათ ვართ მიჩნეული, გავამაგროთ იქ მტკიცე წესრიგი. მოვა დრო—შინ გამაგრებული რესპუბლიკები აუცილებლად მიიზიდავენ თავისკენ იმ ნაწილებს, რომლებიც ბუნებრივად მათთან დანათესავებული არიან და მათს ამ ლტოლვილებას წინ ვერავინ დაუდგება.

ჩვენ გვინდა სწორეთ ასეთი ბუნებრივი, ნებაყოფლობაზე დამყარებული გაზრდა-გაფართოვება და არა ძალდატანებით შემოერთება რომელიმე ტერიტორიისა.

## ნაფიცი მსაჯულები

ჩვენი კორესპონდენტები განაგრძობენ გოდებას სასამართლოს უქონლობაზე და მსაჯულების სიმცირეზე. გვატყობინებენ იმასაც თუ რა საყვედურებია ამ ნიადაგზე და რა ყრუ უკმაყოფილება და უსიამოვნება ხდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების დაჩქარებას. ბევრ ადგილას განზრახ თურმე არ ეწრებიან საქმის გარჩევას ნაფიც მსაჯულთა შემოღების მოლოდინში. ამ მოლოდინს კი ბოლო არ უჩანს.

დეკრეტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ დიდი ხანია მიღებულია. თუ არ ვცდებით, დეკრეტში შემოღების ვადაც იყო ნაჩვენები. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრებაში გატარება დღემდის არ მახსრხდა.

ყველაზე მეტი ინერგია ამ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ ერობებს და ქალაქებს უნდა გამოეჩინა. ყველაზე უფრო ახლოს ხალხთან და მათ საჭიროებასთან ეს ორგანოები დგას. დეკრეტი მათ დიდ როლს აკუთვნებს ამ შემთხვევაში და სამწუხაროა, რომ მათ დღემდის ვერ შესძლეს ამ საქმის მოგვარება. თუმცა ამის შესახებ ერთი კორესპონდენტი შემდეგს გვწერს: სენაკის ერობას ჯერ კიდევ თურმე შარშან მაისში შეუმუშავებია ნაფიც მსაჯულთა სია და ქუთაისის ოლქის სასამართლოსთვის გაუგზავნია. მას შემდეგ დღემდის თურმე არაფერი ისმის ამ სიის შესახებ.

საინტერესოა ვიცოდეთ—რა ბედი ეწვია ამ სიას? სად სეირნობს ამდენ ხანს და რატომ დღემდის ვერ მიიღო სანქცია?! არ ვფიქრობთ, რომ აქ შეგნებულ საბოტაჟს ქონდეს ადგილი იმ ძველ მოხელეთა მხრივ, რომლებიც ზოგიერთ ჩვენს დაწესებულებებს სათავეში მოექცა. შეიძლება უნარის უქონლობა იყოს დამნაშავე?! ანდა კიდევ საბედისწერო კანცელიარშჩინა! არა ერთი და ორი ქაღალდი შეჭამა ამ კანცელიარშჩინამ და ჩვენ გვშინია—ვაი თუ სენაკის ნაფიცი მსაჯულებიც ამ კანცელიარშჩინამ იმსხვერპლა!

ასე, თუ ისე, დაკარგულის მონახვა კიდევ უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვინემ ახალის დაწყება. ამიტომ ყველა იმ უწყებებმა, რომლებსაც ამ საქმის მოგვარება ევალება, ყოველივე საშუალება უნდა იხმარონ, რომ დიდი ხნის მიღებული დეკრეტი ცხოვრებაში გატარდეს.

განსაკუთრებით უნდა იჩქარონ ერობებმა და ქალაქებმა, რადგან სხვა რომ არა იყოს, დაბოლოს ყოველგვარი ადგილობრივი უკმაყოფილება პირველ ყოვლისა მათი თავსატეხი გახდება.

განი.

## პრესა

ცნობილია, რომ „საქართველოს" არც ერთი უწყება და მისი ხელმძღვანელი არ ეჯავრება ისე, როგორც მიწათ მოქმედების სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი ნ. გ. ხომერიკი. ეს არც გასაკვირია. ეს ხომ ის ჯგუფია, რომელიც მუდამ თავად-აზნაურობის გაშლილი სუფრის გარშემო ტრიალებდა და მისი მსუყე სადილ-ვახშმით მუცელს ივსებდა. დღეს ამ წრეების მამულების ჩამორთმევით ამ ფინებს სახრავი შემოაკლდათ და აი ისინიც დღიან ღამიანა უყეფენ მიწათ მოქმედების უწყებას და მის მინისტრს.

არა ერთი და ორი ჭორი და სიცრუე გაუვრცელებიათ ამ უწყების შესახებ, არა ერთხელ და ორხელ მიუტანიათ იერიში მასზე დამფუძნებელ კრებაში და მისი ლანძღვა-თრევით გული უჯერებიათ. და ეს ნათლათ ამტკიცებს, რომ უწყებამ და მისმა ხელმძღვანელმა არა ერთი და ორი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ამ დრო-მოჭმულ წოდებას და მის დაქირავებულ დამცველებს. მათი გაწიწმატებაც სწორეთ აქედან წარმოსდგება

„საქართველოს" უკანასკნელი ნომერი ამ გაწიწმატების საუკეთესო ნიმუშია. ამ ნომრის მეთაურში უშვერი ლანძღვა გინება, ინსინუაცია და ჭორები ისეა შეზავებული, რომ მაშინვე შეატყობთ თუ რა აწუხებს და რის მუცლის გვრემა აქვს მის ავტორს. გაზეთს არც კი რცხვენია განაცხადოს, რომ „კომისიებზე ახეული მილიონები იხარჯებაო". და ეს მაშინ, როცა მთელი რეფორმების გატარებაზე ჯერ სამი მილიონიც კი არ დახარჯულა.

„საქართველოს" რომ მართლა რეფორმა და მისი გატარება აინტერესებდეს—ჩვენ ბევრი რამე შეგვეძლო გვეთქვა მისი წერილის წინააღმდეგ, მარა როცა ყველამ იცის, თუ რა აწუხებს ნაციონალ-დემოკრატების ორგანოს—მასთან არსებითად კამათი რასაკვირველია ზედმეტია. ეს იქნებოდა კედელზე ცერცვის შეყრა და ეს კი უსაქმო კაცის ხელობაა, ამისთვის ჩვენ არც დრო გვაქვს და არც სურვილი...

* * *

„ბაშხატავორი" (№ 18) ეხება ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის მომხდარ თათბირს და „შეთანხმების ცდები"-ს სათაურით წერილში, სწერს შემდეგს:

„უკანასკნელ დღეებში მომხდარ თათბირზედაც დაადგინეს იმ თვალსაზრისს, რომ ყველა სადავო საკითხები უნდა გადაიჭრან არა ომით,—არამედ—ურთიერთ დათმობით და შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით და სამივე მთავრობა უნდა შეულამურით ეცადონ ცხოვრებაში გაატარონ ეს დადგენილება.

„ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ამიერ-კავკასიის სამმა რესპუბლიკამ იგრძნო მომენტის სერიოზულობა და დაადგნენ საერთო ინტერესების შეგნების ნიადაგზე და ერთმანეთთან შეთანხმებით სურთ გაასწორონ ამიერ-კავკასიის პრობლემის ძნელი საკითხი.

„გარდა ამისა, ამიერ კავკასიის სამი რესპუბლიკა აცხადებს, რომ მათ, როგორც თავისუფალმა და დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, ყოველფრით უნდა დაიცვან თავიანთი თავისუფლება და უზენაესობა ბრძოლით ყველასთან, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს მათ. და აი, აქედან გამომდინარეობს თანამშრომლობის საჭიროება. თათბირის გადაწყვეტილების უკანასკნელ მუხლში ნათქვამია, რომ „მინისტრთა თათბირი ურიგოსად საჭიროთ სცნობს პერიოდულ სხდომებს სამ რესპუბლიკათა წარმომადგენლებისა წინათვე აღნიშნულ დროს.

„ამ მუხლს აქვს კონფედერაციის და ხანგრძლივი თანამშრომლობის ხასიათი. და მართლაც, კონფედერაციის საკითხი იმ ფორმით, როგორც აქამდე აღიძვრებოდა ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკათა შორის, შეიცავდა წინანდელ უნდობლობას, რადგან ამიერ-კავკასიის სამ ერთავეის ერის ურთიერთობა რუსული ცარიზმის პოლიტიკის წყალობით ისე იყო არეული და დახლართული, რომ შესაძლებელი არ არის, თუ წინათვე ეს არ გასწორდება, ლაპარაკიც კი—კონფედერაციაზე. ეხლა კი, სამი რესპუბლიკის საგარეო მინისტრთა მიერ არჩეული ამისთანა ფორმა შესაძლებლათ ხდის შეთანხმების ცდის დასაწყისს, რომ სადავო საკითხები გადაწყვეტილ იქნან, რის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა კონფერენციის საკითხის აღძვრა.

„ამაში არის სამ მინისტრთა თათბირის დიდი მნიშვნელობა".

# დღეს

იტალიაში რკინის გზელთა გაფიცვა გრძელდება. ფართო ხასიათი მიიღო ,იცვამ ჩრდილო იტალიაში.

ფოსტა ტელეგრაფის გაფიცვა იტალიაში მშვიდობიანათ ჩატარდა.

იტალიური პრესის ცნობით მილანში მომხდარ სოციალისტების კრებაზე სიმალისტებს ცოტა მომხრეები ჰყავდათ.

ავსტრიის პრესის ცნობით ჩეხოსლოვაკიელებს დამარცხებიათ სერბიელ-პოდგორიცასთან ბრძოლის დროს.

ბოლშევიკების ცნობით ცარიცინ-ტიხორეცკაიას მიმართულებით ხაზოთა რმა აიღო ხად. რუმონტნაია.

## დამფუძნებელი კრება

**23 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი კითხულობს კომისიებში გადასაცემათ შემოსულ კანონ-პროექტებს. ,კითხულ იქნა აგრეთვე მისალმება ბა-ის ქალაქის თვითმართველობისა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო, რომელსაც ტაშის ცემით შეხვდნენ დეპუტატები. პროექტი ამნისტიისა სოც.-დემოკრატების წინადადებით გადაეცა იურიდიულ კომისიას წინასწარ განსახილველათ და შემდეგ დამფუძნებელ კრებაში წარმოსადგენათ.

ი. ხალაყაიას მოხსენებით მეორე განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონპროექტი სახაზინო ხვო წლის დამფარავი ხარჯის განაღდების შესახებ.

**დეკრეტი ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 28 ს დადგენილების შეცვლისა;**

ამ საკითხზე აგრარული კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს კ. ნინიძე: წარმოდგენილი დეკრეტი მოითხოვს ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23 ს დადგენილების შეცვლას. ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა მოკლეთ მოვიგონოთ ამ დადგენილების შინაარსი და მნიშვნელობა. როგორც იცით, რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა საკითხი მიწის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრის შესახებ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება იმ დაბრკოლებებს, რომელიც წინ დაუდგებოდა და გადაელობებოდა მიწის რეფორმის გატარებას. ერთ ასეთ დაბრკოლებათ მიჩნეულ იქნა შემდეგი გარემოება: მემამულეებს შეეძლებათ ჰქონდათ თავიანთი მიწები დაენაწილებინათ: გაეყიდათ, დაეგირავებინათ, ანდა სხვებისთვის ამა თუ იმ სახით გადაეცათ. ამიტომ დროებითმა მთავრობამ გამოსცა დადგენილება, მიწის ყიდვა-გაყიდვის შეჩერების და ყოველგვარი ნივთიერი უფლების სხვაზე გადაცემის აკრძალვის შესახებ. მიწის საკითხის გადაჭრის აუცილებლობა დადგა ამიერ-კავკასიის წინაშეც და აი, სეიმმა 1917 წ 7 მარტს გამოსცა კანონი, რომლის ძალით მემამულეებს უნდა ჩამორთმეოდათ მიწები ამ კანონს უფრო დეკლარატიული ხასიათი ჰქონდა, რადგანაც იქ არ იყო აღნიშნული დატოვების ნორმა. აი ეს დეკრეტი საჭიროებდა ისეთ დადგენილებას, რომელიც მოსპობდა ყიდვა-გაყიდვას. და 1918 წ. 23 თებერვლის დადგენილებით აიკრძალა მიწების ყიდვა-გაყიდვა და ყოველგვარი ნივთიერი უფლების სხვაზე გადაცემა. ამ დადგენილების მოტივი ის იყო, რომ კანონის გამოსვლამდე მემამულეებს არ დაენაწილებინათ მიწები, მიზანი კი ერთი იყო: არ შექმნილიყო დაბრკოლებები, რომელიც ხელს შეუშლიდა აგრარულ რეფორმის სასურველათ ჩატარებას. აგრარული რეფორმაში ორი მომენტი იყო: ერთი მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა და ამ რიგათ სახელმწიფო ფონდის შექმნა, მეორე—ამ ფონდის განაწილება. ჩამორთმევა თითქმის უკვე დასრულებულია. როგორც ხედავთ 23 თებერვლის დადგენილების მიზანი უკვე მიღწეულია და ამიტომ ეს დადგენილება თავისთავად მექ ნიკურად უნდა გაუქმდეს იქ, სადაც მიწების ჩამორთმევა უკვე დასრულებულია. იმ რაიონებში კი, სადაც ეს ჩამორთმევა დასრულებული არ არის, ეს დეკრეტი ამ ყიდვა-გაყიდვის შესახებ აწესებს ერთგვარ შეზღუდვას. იქ ყიდვა-გაყიდვა უნდა მოხდეს მიწათ მოქმედების მინისტრის ნებართვით.

ჩვენში არსებული კანონების თვალსაზრისით და იმ ურთიერთობის მიხედვით, რომელიც ჩვენში არის, ამ დეკრეტით არავითარი ფორმალური მხარე არ არის დარღვეული.

მაგრამ აქ შეიძლება დაიბადოს სხვა ნიადაგზე გადაიტანონ: შეიძლება თუ არა მიწაზე კერძო საკუთრება არსებობდეს. არსებობს ზოგიერთი ფილოსოფიური შეხედულება, რომელიც ამბობს, რომ მიწა ღვთისაა და მისი ყიდვა-გაყიდვაც არ შეიძლება (ლ. შენგელაია: ვისია ეს შეხედულება?) მგონია სოც. რევოლიუციონერების უნდა იყოს. კერძო საკუთრების მოსპობა—არ მოსპობის საკითხს ჩვენ ვიხილავთ იმის მიხედვით, თუ რას მოუტანს ის ჩვენს ხალხს დღევანდელ პირობებში. უნდა გავსცხადო, რომ კერძო საკუთრება მიწაზე არ არის ჩვენი იდეალი, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ კერძო საკუთრება დავუშვით, დაშვება კერძო საკუთრების სრულებით არ ნიშნავს საზოგადოებრივი ინიციატივის შესაძ-ღვას. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ჩვენი ერობები ისე არ არიან გამაგრებულნი, არ აქვთ ისეთი აპარატი რომ მეურნეობას საზოგადოებრივი ხასიათი მისცენ. ჯერ ფორმულის მიღება და შემდეგ კი მისი გამტარებელი ძალების ძებნა, არ უნდა ახასიათებდეს კანონმდებლობას. ასეთი რამ კანონმდებლობის ისტორიამ არ იცის. ჩვენში ჯერჯერობით მიწას პრიმიტიულად ამუშავებენ, ტეხნიკა არ არის განვითარებული და ამიტომ ასეთ პირობებში მიწის საზოგადოებრივათ დამუშავებაზე ლაპარაკიც კი დანაშაულია ხალხის, გლეხების წინაში. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ მიწის ნორმის ფიქსაცია ჩვენში ტეხნიკურად, ფიზიკურად მოუხერხებელია. შეიძლება ერთი ერთი ძმა მოკვდეს სამისაგან, მაშინ იმისი მიწა მემკვიდრეობის ძალით უნდა გადავიდეს მისი ძმების ხელში, მაშინ ხომ ნორმა დაირღვევა? და თუ გინდათ ნორმის გათანასწორება, მაშინ უნდა მიიღოთ ესერების პროგრამა და ყოველ დღე თოფით ხელში უნდა იაროთ მიწის საზომათ. ეს კი ტეხნიკურათ მოუხერხებელია, ფიზიკურად განუხორციელებელი. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 23 თებერვლის დადგენილებამ უკვე დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგანაც ჩამორთმევა დამთავრებულია, ყიდვა-გაყიდვა ქურდულათ, მალულათ მაინც სწარმოებს და ხარჯებლობენ რა ფულის კურსის თანდათან დაცემით, ამის გარშემო დიდი სპეკულიაცია სწარმოებს, ამიტომ 23 თებერვლის დადგენილება უნდა გაუქმდეს.

ილ ნუცუბიძე (ს. რ.) სოც. დემოკრატების აგრარული რეფორმა სანიმუშოა თავისი უვარგისობის მხარეებით. მას არა აქვს მეცნიერული საფუძველი. სოც.-დემოკრატების პრაქტიკული საქმიანობა აშენებულია შემთხვევით მოვლენებზე. სწორედ ასეთი შემთხვევითი ხასიათი აქვს სოც.-დემოკრატიის აგრარულ რეფორმას, მე ვლაპარაკობ, რომ ჩვენში სულ არ არის აგრარული რეფორმა აგრარული რეფორმა ნიშნავს არსებული ურთიერთობაში გარკვეული რამის შეტანას, სოც.-დემოკრატების რეფორმას არაფერი ახალი არ შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში, შემდეგ ორატორი კითხულობს ბრიუსელის ინტერნაციონალის და სხვა კონგრესების რეზოლიუციებს და ცდილობს ეს რეზოლიუციები გამოიყენოს სოც.-რევოლიუციონერთა მიწის სოციალიზაციის სასარგებლოთ. (ნიკო ნიკოლაძე შენიშნავს ადგილიდან: ბ. ორატორო, რას კარგავთ დროს?) ორატორი განაგრძობს. სოც.-დემოკრატებს არა აქვთ აგრარული პროგრამა. ამით აიხსნება ის ანარქია, რომელიც ამ საკითხში არსებობს.

მარქსიზმი ბურჟუაზიის იდეოლოგიაა (ნ. ნიკოლაძე: ეს ბატონო, წიგნებში დაამტკიცეთ), მარქსმა მთელი თავისი ენერგია იმის მტკიცებას მოახმარა, რომ ბურჟუაზია პროგრესიული მოვლენაა, მარქსიზმი ბურჟუაზიისათვის მოქმედების, აქტივობის ფილოსოფიაა, ხოლო მუშათა კლასისათვის უმოქმედობის. (ნ. ნიკოლაძე: ბ-ნო თავმჯდომარე, გვაქვს ასეთი ლაპარაკისათვის ამდენი დრო, ან პარლამენტი იმისათვის არის, რომ ასეთი ბავშვური ლაპარაკი მოვისმინოთ? თავმჯდომარე: ორატორს ერთი საათი აქვს დრო და იქნებ ამ ხნის განმავლობაში მიუახლოვდეს დეკრეტში წამოყენებულ საკითხს).

ნუცუბიძე განაგრძობს: ბ-ნო ნიკოლაძე, მე არ ვიცი თქვენ რა გაწუხებთ.

მიწის ყიდვა-გაყიდვა აუცილებლათ უნდა მოისპოს, მიწა საზოგადო კუთვნილება უნდა იყოს თუ მიწების ყიდვა-გაყიდვა დაშვებულ იქნა, ისევ ფეოდალური წყობილება შეიქმნება, გაჩნდება ლატიფუნდიები და სხვ. (საერთო სიცილია). მიწის გაყიდვას სოც. დემოკრატია იმით ასაბუთებდა, რომ აგრარული რეფორმისათვის ხარჯებია საჭიროვო. მე მაქვს ცნობები, რომლის მიხედვით სულ აგრარული რეფორმის ხარჯები დღემდე უდრის 3 მილიონ მანეთს, მიწის გაყიდვით კი უნდა შემოვიდეს 240 მილიონი მანეთი. ეს კი დაუშვებელია. ამ რიგათ, ეს დეკრეტი მიუღებელია მეცნიერულად (ნ. ნიკოლაძე: ჩერნოვის მოწაფეებს არა აქვთ უფლება ილაპარაკონ მეცნიერების სახელით) ტეხნიკურათ, პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, ამიტომ ჩვენი ფრაქცია ამ დეკრეტის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

თავმჯდომარე: აცხადებს, რომ რიგ გარეშე განცხადებისათვის სიტყვა ეკუთვნის საგარეო საქმეთა მინისტრს.

**ევგენი გეგეჭკორი** კითხულობს სომხეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ დეპეშას და ამბობს: მე ღრმათა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ცნობა გამოიწვევს მთელს ჩვენს ხალხში დიდ კმაყოფილებას და ჩვენი ხალხი დიდის სიხარულით შეხვდება. ეს აქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამიერ კავკასიის ერებს, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიდოდეთ, რომ ჩვენი ბედი ერთმანეთთან გადაბმულია, ერთის უბედურება მეორეს უბედურებას ნიშნავს და ამიტომ ერთად უნდა ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობის დასაცავათ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ სომხეთს! (მხურვალე ტაში).

თავმჯდომარე: გაუმარჯოს დამოუკიდებელ სომხეთს და მის თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს! (ტაში) გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის მჭიდრო კავშირს! (ტაში).

ნ. ნიკოლაძე (ნ. დ.) მე დღეს ხელი შევუშალე ბ. ნუცუბიძეს. ეს იმიტომ, რომ მეტად შეუსაბამოთ გაგრძელდა კამათი ისეთ საკითხზე, რომელიც არ იყო სადავო. მე მესმის აზრთა სხვადასხვაობის არსებობა, და ამაზე კამათი, მაგრამ ასეთ საგანზე კამათისათვის სხვა ადგილია საჭირო და არა დამფუძნებელი კრება.

მეორე საკუთრებში კერძო საკუთრების მოსპობა არავის იდეალათ არ უნდა იყოს. არც ინტერნაციონალის და კონგრესების დადგენილებაა ჩვენთვის სავალდებულო და მხედველობაში მისაღები. გამოდიან აქ და პროფესორების სახელით აცხადებენ, რომ ესა და ეს უვარგისია. ეგეც დაუშვებელია. ყველას შეუძლია ილაპარაკოს მეცნიერების სახელით, მაგრამ ეს არ შეუძლია სოც.-რევოლიუციონერების პარტიას, რომელიც ეყრდნობა არა მეცნიერებაზე, არამედ ძალაზე და შიშინებაზე. (ლ. შენგელაია: სოც.-დემოკრატები მაინც ვერ დაგვაშინეთ!)

შემდეგში ორატორი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი სრულებით არ შეეხება ბურჟუაზიას. ეს დეკრეტი ეხება მხოლოდ გლეხებს და თუ, თქვენ, ბ. ესერებო, გგონიათ, რომ ჩვენი გლეხობა ბურჟუაზიაა, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ ჩვენ კი ეს ასე არ წარმოგვიდგენია, თქვენი მიწის სოციალიზაცია არ გამოდგება იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობაა, სადაც ბილეთლობის მოყვანას, ხარჯვას მისდევენ, რომელიც 25—30 წლის შემდეგ იძლევა ნაყოფს.

პ. საყვარელიძე მახსოვს, შარშანაც, როცა აგრარული კანონი ირჩეოდა, იყო დაუსრულებელი ციტატების მოყვანა, ამ მხრივ თ. ღლონტს არ ჩამორჩენ არც ესერებიც. მაგრამ ვინც კი იცის პარლამენტარული ცხოვრება, ის აუცილებლათ იტყვის, რომ ამ ციტატებისათვის სხვა ადგილი არის. ბ. ესერებო, გექნებათ პარტიული კლუბი, ან სხვა რაიმე და იქ გამართეთ დებატები, დისკუსიები ამ საკითხის შესახებ, ჩვენ დიდის სიამოვნებით მოვალთ იქ და და გამარცხებთ.

ჩვენ აქ ვლაპარაკობთ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

ჩვენ მივიღეთ აგრარული კანონი, რომლის ძალით კერძო საკუთრება რჩება. ამას გვიკარნახებდა თვით ცხოვრება და არსებული პირობები. თუ მივიღებთ ესერების წინადადებას, მაშინ ყველა ჩვენი კანონები უნდა გავაუქმოთ. თქვენი (მიმართავს ესერებს) პრაქტიკული წინადადების და პროგრამის მიღება 1920 წ. იქნება დიდი ბარბაროსობა და ჩვენი ქვეყნის დაღუპვა. მე არ მგონია, რომ სადმე მოიპოვებოდეს ისეთი სოციალისტი, რომელსაც არ სწამდეს და არ ეტრფოდეს თანასწორობას, მაგრამ ეს იმას ნიშნავს განა, რომ ჩვენ არსებულ პირობებს ანგარიში არ გაუწიოთ? არ შეიძლება სოციალიზაციის გატარება იქ, სადაც ხალხის დიდი უმრავლესობა მისი წინააღმდეგია.

სოვდეპიაში სცადეს ესერების სოციალიზაციის გატარება და ამან რუსეთი დაღუპა. ჩვენ არ გვინდა საქართველოც დაიღუპოს და ამიტომ არ ვიღებთ თქვენს წინადადებას.

აქ ნუცუბიძემ სადემაგოგიო მიზნით მოიხმარა საფონდო მიწის გაყიდვა, მან სთქვა: ჩემი ცნობით აგრარული რეფორმის ხარჯები უდრის 3 მილ. მანეთს, ხოლო მიწის გაყიდვიდან უნდა შემოვიდეს 240 მილ. მანეთი, ეს კი უსამართლობა არისო. ნუცუბიძემ არ იცის, რომ 28 იანვრის 1919 წ. მიწის კანონში სწერია: მიწის გაყიდვიდან შემოსული ფული უნდა მოხმარდეს, გარდა ხარჯებისა, სამეურნეო ტეხნიკის გაუმჯობესებას, ჭაობის ამოშრობას, გადასახლების საქმეს და სხვ. ბ. ნუცუბიძეს არ აინტერესებს ეს საკითხები, მას მხოლოდ ფრაზებით უნდა ხალხი შეცდომაში შეიყვანოს და დემაგოგიის საშუალებით თავისი პარტიული კაპიტალი გააძლიეროს.

ახლა დეკრეტის შესახებ.

23 თებერვლის დადგენილება იყო დროებითი. სადაც მიწების ჩამორთმევა დამთავრებულია, იქ ეს დადგენილება აუცილებლათ უნდა გაუქმებულ იქნას. რა გვილაპარაკებს ჩვენ ამას?—ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა. გლეხის ინტერესები მოითხოვს თავისუფლებას ნორმის ფარგლებში. ახლა ყიდვა-გაყიდვა ხდება ქურდულათ, უკანონოთ, სპეკულიანტურათ, ჩვენ კი გვინდა რომ ეს მოისპოს. იმ ადგილებში კი, სადაც არ არის დასრულებული ჩამორთმევა, გაყიდვა უნდა სწარმოებდეს მინისტრის ნებართვით. აი ეს არის და ეს და არა ძველი კანონების ხელახლა გადმოწერა და მოსპობა. ჩვენ ძველ კანონებს კი არ ვუბრუნდებით, არამედ გზას ვუწმენდთ ჩვენი ხალხის ეკონომიურ თავისუფლებას, ურთიერთობას.

რაც შეეხება ინტერნაციონალურ კონგრესების დადგენილებებს, რომელიც აქ დამახინჯებულათ გადმოგვცა ნუცუბიძემ, ჩვენ დიდ ანგარიშს ვუწევთ, როგორც საერთო ნორმას და მიმართულებას. თითეული სექცია ინტერნაციონალისა მოვალეა ამ საერთო მიმართულებას შეუფარდოს თავისი მოქმედება. ამ შემთხვევაში ნ. ნიკოლაძე არ არის მართალი. ინტერნაციონალის დადგენილებებს ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სოციალიზაცია ავიღოთ და დღესვე ზუგდიდის მაზრაში გავატაროთ. ბ ნიკოლაძეს კერძო საკუთრება ფეტიშათ გაუხდია, ჩვენ კი საკუთრებას ცვალებად ისტორიულ მოვლენათ. დღეს აქ თავი იჩინა ორმა უკიდურესობამ. არც ერთი არ არის მართალი.

ბ ნი ლ. შენგელაია სთხზავს კაბინეტებში გეგმებს და აქ მოდის ქადაგათ დაცემულ კაცსავით და ფრაზებით გულებს გვიყრუებს. ფრაზა რომ სოციალისტობის და რევოლიუციონერობის დამახასიათებელი იყოს, მაშინ ესერები იქნებოდნენ პირველი სოციალისტები (ტაში) თქვენ სიტყვით აკეთებთ რევოლიუციას, ჩვენ კი საქმით. თქვენ ხელს არ უწყობთ სახელმწიფოს აშენებას. ერთი გამოსვლა მახსოვს ესერების ორატორის, რომელსაც მე გულწრფელად ტაში დავუკარი. ეს იყო 16 იანვარს დამოუკიდებლობის ცნობის გამო. მაშინ შენგელაიამ რაღაც განსაცვიფრებელი (სიცილია) რამ ჰკვიანური სთქვა. ჩვენ ბატონებო, არ ვმალავთ იმას, რომ შეცდომები გვაქვს, მაგრამ მთავარი ხაზი მართლა სწორია.

ვინც მოქმედობს იმას შეცდომები მოსდის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თქვენ (ესერები) არ მოქმედობთ, და შეცდომებს მაინც აკეთებთ (ტაში).

დასასრულ ორატორი ამბობს, რომ წარმოდგენილი დეკრეტის მიღება აუცილებელი საჭიროება მოითხოვსო. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ესერების უბედურება იმაშია, რომ ისინი ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან იმას, რაც არის, იმასაგან რაც უნდა იყოს. კონგრესების დადგენილებები ცუდათ გადმოგვცა ნუცუბიძემ. აი კ. კაუცკი, იმ ინტერნაციონალის ერთერთ ხელმძღვანელთაგანი სწერს თავის წიგნში—„მეორე დღეს სოციალური რევოლიუციის შემდეგ",—რომ წვრილი მეურნეობა სოციალური რევოლიუციის შემდეგშიც რამოდენიმე ხანს იარსებებსო. კონგრესის დადგენილება იმას კი არ ნიშნავს, რომ ის მივიღოთ და მაშინათვე ზუგდიდის მაზრაში გავატაროთ.

შემდეგ ორატორი ამტკიცებს ნუცუბიძის ყალბ დებულების—ფეოდალიზმის დამყარებას — საწინააღმდეგო აზრს: ფეოდალიზმზე თქვენ ცუდი წარმოდგენა გქონიათ. ფეოდალიზმი ასე არ შეიქმნება. ვინ იქნება ისეთი ბრიყვი, რომ ლატიფუნდების შესაქმნელათ დღეს მიწა შეიძინოს, როცა იმას ართმევენ მიწებს, ვისაც ეს აქვს! მე მგონია რომ ასეთი ბრიყვი არავინ იქნება. დღეს თუ ვინმე მიწას იყიდის ის აუცილებლათ დასამუშავებლათ, სხვა მიზნით დღეს მიწას არავინ იყიდის. მომხსენებელი აბათილებს ყველა დებულებებს მის წინააღმდეგ წამოყენებულს.

დამფუძ. კრება გადადის მუხლობრივ განხილვაზე. 1 მუხლი იწვევს კამათს. ლაპარაკობენ ნ. ელიავა და ლ. შენგელაია. უკანასკნელი სარგებლობს სიტყვის უფლებით და ეხება საკითხს არსებითად. სიგვიანის გამო მსჯელობა პირველ მუხლზე და აგრეთვე გარჩევა დანარჩენი მუხლებისა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

# დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

**24 იანვარი.**

**საბჭოთა რუსეთის ცნობები**

მოსკოვი იანვრის 23. „პრავდა" ს გუშინდელი ნომრის მოწინავე წერილი დათმობილი აქვს 1905 წლის სისხლის მღვრელ 9 იანვრის დღეს. მეფის სურათებით და ხატებით, სწერს „პრავდა", პეტროგრადის მუშები ღარიბ მშიერ და მონურ ცხოვრებისაგან განთავისუფლებას პოლიციის მხარის დახმარებით მოელოდნენ. მათ კი წინ ცხელი ტყვიით შეეგებენ. ეს იყო მეფის პასუხი. გამოუცდელნი სწრაფად შეიქნენ მედგარ მებრძოლებათ. მას შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი.

სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობის გახსნის გამო ბუხარინი „პრავდაში" სწერს: „ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტროცკის თვალსაზრისი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმუმი მუშათა ცოცხალ ძალისა გამოიყენონ, მოაწყონ მუშაობა არმიაში, სადაც სისწორე, აღსრულების სისწრაფე და პასუხისმგებლობა უდიდეს ეფექტებს გვაძლევს. სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობამ უნდა დაისახოს პრაქტიკული პოლიტიკის მთავარი მიზანი. ამ ქამად განსაკუთრებული ხასიათის ზომებია საჭირო. რესპუბლიკის მუშათა ძალების ორგანიზაცია, მშრომელთა საერთო შრომის ბეგარის შემოღება არა სიტყვით, არამედ საქმით, აი ეს არის მთავარი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს.

მოსკოვი. იან. 23. სამხედრო ცნობები. (დასაწყისი არ მიგვიღია) კონსტანტინოვკაიას სტანიცის რაიონში, მდ. სალის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე პატარა სოფელი ავიღეთ. კონსტანტინოვსკაიას სამხრეთით 40 ვერსზე ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერზე მოულოდნელად თავდასხმით აიღო ალექსანდროვსკაია და ნიკოლაევსკაია. ხელში ჩაიგდო ტყვეები. აღმოსავლეთით ხელში ჩავიგდეთ ორლოვკა წამოვიყვანეთ 200 ტყვე ხელში ჩავიგდეთ 19 ტყვიისმფრქვეველი. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენ მდ. სალის მარჯვენა ნაპირზე სოფლები ავიღეთ. ცარიცინ ტიხორეცკაიას რკ. გზის რაიონში სადგ. კუბერლეს რაიონი დავიჭირეთ. ჩვენმა ჯარმა რემონტნაია აიღო.

**უცხოეთის პრესის ცნობები**

ხუთშაბათს მოლაპარაკე პალატაში წაიკითხა მინისტრთა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია მთავრობის პროექტები და ამ პროექტების ცხოვრებაში გატარების საშუალებანი.

პირველი მატარებლები, რომლითაც გერმანელი ტყვეები სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ უკვე გაემგზავრა გერმანიაში.

იტალიურ რკინის გზელების გაფიცვა გრძელდება, განსაკუთრებით ჩრდილო იტალიაში.

**იტალიური პრესის ცნობები**

„ნიუ ფრაიე პრესე" სწერს: ქალაქ მილანის მოურავმა თავის სიტყვაში ავსტრიელ ჟურნალისტებს განუცხადა: ვენელ ბავშვების ეროვნულ და სარწმუნოებრივ პრინციპებს სათანადო პატივისცემით მოეპყრობით და იტალია ისევე იზრუნებს პატარა ვენელებზე, როგორც თავის საკუთარ ბავშვებზე. „რეიხპოსტი" იუწყება ტურინში შესდგა მოქალაქეთა კომიტეტი ვენელ ღარიბ ბავშვების დასახმარებლადო.

ავსტრიის პრესა გვამცნობს მნიშვნელოვან დამარცხებაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიელებს მიაყენებიათ სერბიელებისათვის პოდგორიცის ფრონტზე.

ბრაზილიელ უნტერ-ოფიცერთა ჯგუფი, რომელმაც გაიარა იტალიაში ჰაერში ფრენის სკოლის კურსი, გულ მხურვალედ ეთხოვება თავის მეგობრებსა და კოლეგებს. ისინი აქებენ იტალიის სახელმწიფოს, როგორც მთელი ქვეყნის ცივილიზატორს.

რკინის გზელთა გაფიცვა ფინციდენტოთ გრძელდება, მოსამსახურეთა შემადგენლობის დიდი ნაწილი კვლავ განაგრძობს მგზავრების გადაყვან-გადმოყვანასა და სურსათ სანოვაგის გადატანას, მცხოვრებნი ამართლებენ იმ მკაცრ ზომებს, რომელსაც მთავრობა ღებულობს შრომის თავისუფლების უზრუნველსაყოფათ. მრავალი მოქალაქე, რომელთაც რკინის გზის საქმე იციან, მთავრობას თავის ცოდნასა და შრომას აწვდიან. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა მშვიდობიანათ ჩატარდა. მინისტრი და მათი ამხანაგები მოსამსახურეებმა დიდის ამბით მიიღეს. პარლამენტის სოციალისტურმა ჯგუფმა განიხილა რა რკინის გზელთა გაფიცვა, გადასწყვიტა მას დაუჭიროს მხარი, მხოლოდ თვალყური ადევნოს, რომ შრომის თავისუფლება იყოს დაცული. მილანში მომხდარმა სოციალისტების კრებამ ხაზი გაუსვა საშუალო და მაქ იმალისტურ ტენდენციებს. მაქსიმალისტებს ძალიან ცოტა მომხრეები ყავთ.

# ახალი ამბები

◆ დამფუძნებელმა კრებამ ინგლისის თემთა პალატის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ლონდონი, თემთა პალატა. თავმჯდომარეს ბ—ნ სპიკერს. საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი აღნიშნავს რა ქართველი ხალხის არაჩვეულებრივ სიხარულს უმაღლესი საბჭოს მიერ საქართვ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო, მხურვალე სალამს და უღრმეს მადლობას უძღვნის დიდი ბრიტანეთის ხალხს თემთა პალატის სახით, რომლის მთავრობის ინიციატივით ქართველი ერი შევიდა ევროპის ხალხთა დიდ ოჯახში. ქართველი ერი არ ეჭვობს, რომ თავისუფლების აკვანი ევროპის უძველესი დემოკრატიის სამშობლო დიდი ბრიტანეთი მხარს დაუჭერს პატარა დემოკრატიულ საქართველოს თავისუფლებას. პრეზიდიუმი იმედოვნებს, რომ დიდი ბრიტანეთი მომავალშიაც მეგობრულ თანაგრძნობით შეხვდება საქართველოს რესპუბლიკის სამართლიან მისწრაფებებს—და, ყოველ მომენტში მას დახმარების ხელს გაუწვდის. მიიღეთ ჩემგან ბატონო სპიკერო, უმდაბლესი სალამი და ღრმა პატივისცემა თქვენდამი. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალომთათიძე.

◆ **სომხეთის დამოუკიდებლობის** აღიარების გამო. დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სომხეთის პარლამენტს: „საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ სრულის სიამოვნებით მოისმინა იანვრის 23-ს სხდომაზე უმაღლეს საბჭოს მიერ სომხეთის მთავრობის ფაქტიურად აღიარების ცნობის ამბავი. გულწრფელად იზიარებს მეგობარ სომხეთის სიხარულს და ულოცავს მას ამ უმაღლეს აქტს, რომელიც გამოხატავს მისი დიდი ხნის მისწრაფებების განხორციელებას. ამიერ-კავკასიის ხალხთა საერთო სიხარული და ზეიმი, როგორც მათი წარსული ცხოვრება, ნათლად უთითებს მათ ერთსულოვან მოქმედების საჭიროებისაკენ მათი თავისუფალი ცხოვრების განმტკიცებისათვის. გაუმარჯოს მეგობარ სომხეთს და ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს".

◆ **„სტუდენტის დღე"**. ხვალ, 26 იანვარს, სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის წლისთავზე თფილისში, პროვინციის ქალაქებში და დაბებში მოეწყობა „სტუდენტის დღე". უკვე გამოვიდა საგანგებოთ ამ დღისთვის ჟურნალი „ქართველი სტუდენტი", რომელშიაც მოთავსებულია პროფესორების, სტუდენტების და საზოგადო მოღვაწეთა წერილები. „დღის" მოსაწყობად თფილისში მხურვალე დახმარების უწევენ სტუდენტებს, როგორც საზოგადო დაწესებულებები, ისე კერძოთ საზოგადო მოღვაწენი. პროვინციებშიც გაემგზავრნენ პროფესორები და სტუდენტები იქ დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებათ.

„დღის" მომწყობი კომისია სთხოვს სტუდენტებს კვირას, დილის 10 ს., გამოცხადდნენ სტუდენტთა სასადილოში შრომის განაწილებლათ.

◆ **გადამდები სენი.** ქალაქის თვითმართველობის მედიკო-სანიტარულ განყოფილების ცნობით 8—15 იანვრამდე თფილისში ავათ გამხდარა გადამდები სენით სულ 34 კაცი. აქედან პარტახტიანი სახადით 15 კაცი, მუცლის ტიფით 3; შებრუნებითი ტიფით 3; ყვავილით 2, დიფტერიტით; ეპიდემიური მენინგიტით 1; წითელათი 4. 7 კაცი გარდაიცვალა.

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის** გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, დღეს შუადღის 12 საათზე დიდუბის პანთეონში ცნობილ მწერალთა და ქართველ მოღვაწეთა საფლავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

◆ **შავი ქვის მრეწველთა** სადავათმყოფოს ახლ დგენათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოხსენება წარუდგინა მთავრობას, რათა შავი ქვის მრეწველთა სადავათმყოფოს აღსადგენათ ყოველთვიურათ გადადებულ იქმას სესხის სახით 90 000 მანეთი.

◆ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** ორშაბათს, 26 იანვარს, საღამოს 8 ს. შესდგება ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება საკითხები: არტისტიულ საზოგადოებისა და სხვა შენობების იძულებითი ჩამორთმევის შესახებ, თვითმპყრობელური რუსეთის მიერ თფილისში ამართული ძეგლების გაუქმების შესახებ და სხვა.

◆ **სამხედრო სამინისტროს** იმ კომისიამ, რომელიც სამხედრო ტერმინოლოგიის იმუშავებს, სთხოვა განათლების სამინისტროს მისცეს მას საჭირო მასალა კომისიის მუშაობისთვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ი. ჯავახიშვილი, ხსენებულ კომისიის თხოვნის თანახმად, დაინიშნა ამავე კომისიის წევრად.

◆ **აგრონომთა ყრილობა.** კვირას 25 იანვარს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 5) გაიხსნება სრულიად საქართველოს აგრონომიული დახმარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე მოწვეულნი არიან, ყველა აგრონომიულ დარგებში მოღვაწენი და აგრეთვე წარმომადგენლნი იმ დაწესებულებათა, რომელთაც ასე თუ ისე კავშირი აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობასთან.

◆ **დრამატიული საზოგადოების კრება** დანიშნულია დღეს, საღამოს 7 ს. სამეურნო ბანკის შენობაში. განსახილველია მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, არჩევნები გამგეობის და საზოგადოების წევრებისა, მიმდინარე საკითხები და სხვ.

◆ **ხალხთა საშუალო პოლიტექნიკუმის** სასარგებლოდ. ხუთშაბათს, 20 იან. თფილისის საშუალო პოლიტექნიკუმის სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სახაზინო თეატრში დადგმული იქნება ოპერა: „აბესალომ და ეთერი".

◆ **მივიღეთ** რ. ჩიხლაძის ობლების სასარგებლოთ ხვარბეთის რაიონიდან—364 მან ახალშენის რაიონიდან—93 მ.

ჩვენები მოხდეს ხუთშაბათს მოწვეულ საზოგადო კრებაზე, რისთვისაც იღებს შესაფერ ზომებს. სხვა კითხვები გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

— —

ამხ. რედაქტორო! ეხლა ზან კრებალოში დაარსდა სოც. დემ. კლუბი. ყოველივე ანგარიშები ამ კლუბისა იყო ჩემს ხელში და გთხოვთ საშვალება მომცეთ მათი გამოქვეყნებისა. კლუბის მოსაწყობათ შემოსწირეს: 2000 მ. კალისტე ცხვირავაშვილმა, 1000 მ. იასონ ზერაძემ, 500 მ. რემანოზ სალუქაძემ, სამას სამასი მანეთი: იოსებ ჭიჭინაძემ, ბიქტორ სოხაძემ და კაკო ლოლილიანმა; 200 მ. სარდიონ ყუფუნმა, ას ასი მანეთი: ილიკო ფრუძემ, ვლადიმერ მღვდელაძემ, ეფრემ ლეკიაშვილმა, თემურაზ ჭელიძემ, კალისტე გაგოშიძემ, ბიქტორ კვიკვიძემ, იასონ ცხვედიანმა, მელქო დვალაძემ, ბესო რატიაშვილმა, დურგლებმა სოხაძემ და სართანაშვილმა და სერაფიონ ზაკურაძემ. 130 მანეთი: ხაიმა ურიამ. ხუთ ხუთი თუმანი: ამხ. „ალექსანდრეულმა", ესაია ლეხუტაშვილმა, თედორე ფრუიძემ, დიმიტრი ჩხეიძემ, ვალიკო ქემოკლიძემ, ნესტორ ლეკიაშვილმა, პორფილე ცხვედიანმა, კოსტა ქემოკლიძემ, ნიკიფორე ცხვედიანმა, სეითო სადილიანმა, სამსონ გოგოლაშვილმა, გიგო კენჭაძემ, არქიფო ფრუიძემ, კაკო კენჭაძემ, ერმილე ცხვედიანმა და რემანოზ დვალმა. სამ სამი თუმანი: ერმილე ქურციკიძემ, გერასიმე კობახიძემ, ილიკო ლეკიაშვილმა, თოსებ მღებროვმა, ამბაკო სილაგაძემ, სანდრო ცხვირავაშვილმა, კოწია ფრუიძემ და პროკოფი ჭილვარიამ. 25 მან.: სოლომონ ჭელიძემ. ოც ოცი მანეთი: დიმიტრი ცხვირავაშვილმა, ერმილე ქიქნაძემ, ნიკიფორე აზუთიძემ და კაკო ცხვედიანმა. თოთხმეტ თოთხმეტი მანეთი: კოწია ცაგურიშვილმა, დათიკო გაგუაშვილმა და პ. რთიენ ჭელიძემ. ათ ათი მანეთი: ალექსანდრე ბერუჩაშვილმა, სარდიონ ჭელიძემ, ერასტი ჭ რბაძემ, რუბენ ბებერაშვილმა, მარდახ ჩაჩაშვილმა. ხუთ-ხუთი მანეთი: ილიკო სუთიძემ და გიდევან ჩუბინიძემ. სულ შემოსულია 7080 მანეთი.

დაიხარჯა: სახლის ქირა მიეცით 1500 მანეთი. ერთი მაგიდის გაკეთებასა და პატარა სცენის მოწყობაში მიეცით 2700 მანეთი. 37 სურათების ჩარჩოებში—810 მ., ერთ ნიგვზის შკაფში—800 მ., 6 სკამსა და პატარა მაგიდაში—900 მ., 39 ცალ მინაში (стекло)—2437 მ 50 კ., სურათების მისამაგრებელ და გრძელი სკამების დასაჭედ ლურსმანში—352 მ., გრძელი სკამების შეკეთების ხარჯში—60 მ., სადროში აბრეშუმში—720 მ., 37 სურათში 600 მ., რგოლებსა და კაკვებში სურათებისათვის—78 მ. 50 კ., ლამპებსა და ფითილში—1800 მ., გაზეთის გამოსაწერი და ფანჯრების შესაკეთებელი—100 მ., დარაჯს ოთხი თვის ჯამაგირში 120 მ. სულ დახარჯულია 13078 მანეთი. ამ რიგათ კლუბს ჯერჯერობით მართებს ვალი 5998 მ.

ამავე კლუბისათვის ბ. დომენტი ბენდუქიძემ შეიძინა და გადმოგვცა ექვსი სურათი 11,000 მ. ღირებული.

განსაკუთრებით ბენდუქიძეს და აგრეთვე ყველას, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ დამხმარეთა შორის თავისი წვლილი ჩემის პირადი თხოვნით გამოიღო, გულითად მადლობას ვსწირავ.

რ. ყიფიანი.

# მუშათა შორის

ხაშურთალოს მუშათა კლუბი. 15 იანვარს საშურთალოს მუშათა კლუბში გაიმართა წარმოდგენა სცენის მოყვარეთა მიერ, მსახიობ ჩარკვიანის ქალის მონაწილეობით სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადის პირველი სამთო ბატარეის „ვალიკო შარაშიძის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოდგენილ იქნა გ. ხუჩუაშვილის სამ მოქმედებიანი დრამა „მუშა მგოსანი". აგრეთვე ხეჩუაშვილმა წაიკითხა ლექსები, რომელიც საზოგადოებამ დიდი ტაშის ცემით დააჯილდოვა. წარმოდგენის დროს გაიმართა აგრეთვე აუქციონი, იყო ბუფეტიც. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, რომელნიც წარმოდგენის კარგად ჩატარებით დიდათ დაკმაყოფილებულნი დარჩნენ. წმინდა შემოსავალი დარჩა ათას სამას ორმოცდა თუთხმეტი (1355) მანეთი. რაიც უკვე აღნიშნულ სამკითხველოს გამგეობამ ჩაიბარა. სახალხო გვარდიის 1-ლი სამთო ბატარეის შემადგენლობა და აგრეთვე სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს საშურთალოს მუშათა კლუბის გამგეობას შენობის დათმობისათვის და იმ პირებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს გვარდიელ ბ. გუჯაბიძეს, რომელსაც მინდობილი ქონდა წარმოდგენის მოწყობა და მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის გამართვაში.

სამკითხველოს გამგეობა.

—

ბათუმი 17 იანვარს აქ ჩამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი პავლე წულაია, რომელმაც რკინის გზის დეპოს შენობაში ნაშუადღევის 3 საათზედ მუშა მოსამსახურეებში გააკეთა მოხსენება ჯერ რუსულად და შემდეგ ქართულად საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მან ფართოთ გადუშალა საზოგადოებას ჯერ ამიერ კავკასიის და შემდეგ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის ისტორია, მისი აუცილებლობა. დახატა კრებას გზა, რომელიც აირჩია მთავრობამ თავის სამოქმედოთ, შეეხო შინაურ თუ გარეულ აჯანყება—შემოსევებს და ყველა ამათში მთავრობის ბრძნული პოლიტიკის გამო გამარჯვებული გამოსვლას, რომელმაც მიგვიყვანა უკანასკნელ დიდ გამარჯვებამდე ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობამდე. როდესაც ორატორი ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას შეეხო, დამსწრე საზოგადოება ტაშით შეხვდა მას. დასასრულს მომხსენებელი შეეხო ბათომსაც და იმედი გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში ის უმტკივნეულოთ შემოუერთდება საქართველოს, როგორც თავის განუყოფელ ნაწილს და მოუწოდა ყველას ერთსულოვან მუშაობისაკენ. იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. ბოლოს ამხ. ქრისტეფორე ქათამაძემ შემოიტანა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა კრებამ დამფუძნებელ კრების წევრის პავლე წულაიას მოხსენება თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, იგი ულოცავს ჩვენს მთავრობას და ქართველ დემოკრატიას უმაღლეს საბჭოს მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას, უცხადებს სრულს ნდობას ჩვენს მთავრობას და მომავალშიაც მზათ იქნება მთელი თავისი ენერგიით ემსახუროს ჩვენს მთავრობას და რესპუბლიკას. ეს რეზოლუცია კრებამ ერთ ხმად მიიღო. ნაშუადღევის 5 საათზედ ესევე მოხსენება ქართულ ენაზედ ამხანაგ პავლე წულაიამ წაიკითხა 1 რაიონში, სადაც გარდა რკინის გზელებისა, დაისწრენ ბარცხანის, გოროდოკის ნავთ სადგურის ფერიის მოწინავე ამხანაგები. მომხსენებელმა სხვათა შორის ხაზი გაუსვა ჯარისა და გვარდიის ღვაწლს ჩვენში. აქაც გამოტანილ იქნა იგივე რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა წინა კრებაზე.

ვ. ა—ბელი.

—

მუშათა კოოპერატივი „ალორძინება". რწმუნებულთა კრებამ კოოპერატივ „ალორძინების" ცხოვრებაში შეიტანა ბევრი თვალსაჩინო ცვლილებანი,—მისცა მას სრული მუშური ხასიათი, შესცვალა წესდება, რომლის ძალითაც გაუქმდა მართვა გამგებლობა დაქირავებული დირექციის სახით და მის ნაცვლათ ჩაიყენა ნდობით აღჭურვილი გამგეობა ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან: სადაგაშვილი გიორგი, მახვილაძე ნიკო, თხელიძე ანტონ, აღუაშვილი მიხეილ და ელიავა უშანგი. პირველმა უარი განაცხადა უდროობისა გამო. ალორძინებას დაერქვა მუშათა კოოპერატივი „ალორძინება", რომლის წევრებათ შეიძლება ჩაეწერნონ მხოლოდ ის პირნი, რომლებიც ცხოვრობენ გაქირავებული შრომით, ანდა რომელიმე პროფესიონალურ კავშირში, ან მუშათა ორგანიზაციებში ითვლებიან. ამიტომაც გამგეობას დაევალა იქონიოს პროფ. კავშირთა საბჭოსთან მოლაპარაკება მათი წევრების „ალორძინებაში" ჩასაწერათ. „ალორძინების" გასაწმენდათ სპეკულიანტებისაგან მიღებულია ზომები.

საპაიო გადასახადი ორი თუმნიდან ხუთ თუმნამდე გადიდდა. პასუხის მგებლობა ყველა პაიზე ორმაგია. წევრები ვალდებულნი არიან პირველ იანვრიდან 1920 წ. სამი თვის განმავლობაში შეიტანონ ალორძინების სალაროში მთელი საპაიო გადასახადი, იმ გამონაკლისით, რომელიც უკვე აქვს გადახდილი, ასეთივე წესით მიიღებიან ახალი წევრებიც. მუშათა კოოპერატივ „ალორძინების" რწმუნებულთა კრებები ჯერ არ დასრულებულა.

X

# პროვინცია

მუხრანი. დიდიხანია რაც მუხრანში არსებობდა ერთკლასიანი სასწავლებელი, ხოლო ეს რამოდენიმე წელიწადია გადაკეთდა ორ კლასიან სასწავლებლათ. აქნობამდე აქ სწავლის საქმე იმდენათ უკუღმა იყო დაყენებული, რომ ორი კლასი არც ერთს მოწაფეს არ დაუმთავრებია. მასწავლებლები ხშირათ სცდებოდნენ და მთელს დღეებს სეირნობაში ატარებდნენ, რომ ხალხს სრულიად შესჯავრდა მათი ქცევა და თავიანთი შვილები მეორე ან მესამე განყოფილებიდანვე გამოჰყავდათ. ვინ იცის, ამ სასწავლებლის ასეთი არა ნორმალური მდგომარეობა როდემდის გაგრძელდებოდა, რომ დუშეთის მაზრის ერობას არ გამოეცვალა სასწავლებლის გამგე. წელს ერობის მიერ დანიშნულ იქნა სასწავლებლის გამგეთ მასწავლებელი ჰარმენ დონდოლაძე. როდესაც ახალი მასწავლებელი მოვიდა სწავლა იმ დღეებში უნდა დაწყობილიყო. როდესაც მან გამოაცხადა, რომ ამ დღეებში უნდა დაიწყოს სწავლა და ბავშვები მოაბარეთო, ხალხმა უთხრა: მოგაბარებთ ბავშვებს, ხოლო თუ თქვენც ძველი მასწავლებლებისათვის ასწავლით, ეხლავე გვითხარით და ჩვენ იძულებული ვიქნებით სულაც აღარ მოვაბაროთო. როდესაც მასწავლებელმა გაიგო ყველა მიზეზები, ხალხთან ბევრი ლაპარაკი და ფიცი დასჭირდა, რომ დაერწმუნებინა სწავლა წესიერათ იქნებაო. მართლაც, მისი მეცადინეობით ჩქარა შეკეთებულ იქნა სასწავლებლის შენობა. მიღებულ იქნენ ორასამდე ყმაწვილი და უადგილობის გამო ზოგნი სასწავლებლის გარეშე იქნენ დატოვებულნი. წელს სწავლა ძლიერ წესიერათ მიმდინარეობს. ხალხი ეხლა მეტ დინებულია, რომ სასწავლებელი გაფართოვებულ იქნას და იმედია დუშეთის მაზრის ერობა უეჭველად ითავებს მუხრანის სასწავლებლის გაფართოვებას.

ამ ზაფხულს აქ ამორჩეულ იქნა წვრილი საერობო ერთეული, მაგრამ სამწუხაროთ, ჯერ, საიმისო არაფერი გაკეთებულა იმ დროს, როდესაც გასაკეთებელი საქმეები ძლიერ ბევრია. თემის გამგეობა მუდამ მიზეზათ იმას ასახელებს, რომ ფული არა გვაქვსო. მაგრამ ეს არ არის გასამართლებელი საბუთი. მართალია, ჩვენი სოფელი კულტურულათ ჩამორჩენილია, მაგრამ არც ისე რომ ჰხედავდეს მისგან ამორჩეული თემი ხალხისთვის საქმეს აკეთებს და ის კი არ ეხმარებოდეს ფულით იქნება თუ რითაც შეეძლება. გარდა ამისა, თემი არც იმას აკეთებს, რასაც დიდი ფული არ ესაჭიროება. უკვე კარგა ხანია გზები ისე გაფუჭებული არა ყოფილა მუხრანში, როგორც დღეს. ურემებსაც კი უჭირდებათ სიარული და წვიმის დროს ხომ შეუძლებელია გზებზე ფეხით სიარული. ხალხი მობეზრებულია უგზოობით და ვენახებზე სიარულით, ამავე დროს მოწადინებულია გააკეთოს ყველა გზები. ურმებს, რიყე ქვიშას, მუშა ხელს, თვით სოფელი იძლევა და დიდი დანაშაული იქნება მუხრანის თემის მიერ, რომ გზების გაკეთება მაინც არ ითავოს.

ამ ზაფხულს აქ მოდიოდა და საქმეებს არჩევდა დუშეთიდან მომრიგებელი მოსამართლე, მაგრამ ეხლა შემოდგომის აქეთია აღარ მოსულა. ეხლა ხალხს მომრიგებელ მოსამართლესთან მცხეთაში უხდებათ წასვლა. აღსანიშნავია რომ ის მოსამართლე, რომელიც აქ ზაფხულში დაიარებოდა, რუსი იყო, და სრულებით არ გაეგებოდა ქართული. ბევრი გაუგებრობა იყო საქმის გარჩევის დროს და ხშირათ გაუგებრობის გამო ვერც კი ირჩეოდა საქმეები. წინეთ იყო დატანჯული ხალხი მთარგმნელებით და განა ეხლა დასაშვებია, რომ დუშეთის მაზრაში ისეთი მოსამართლე იქნას დანიშნული, რომელმაც სრულებით არ იცოდეს ქართული ენა? იმედია, დუშეთის მაზრის ერობა დააწესებს, რომ მომრიგებელი მოსამართლე მუდმივათ იმყოფებოდეს მუხრანში, რომელიც სარგებლობას მოუტანს არა მარტო მუხრანს, არამედ გარშემო იმ სოფლებსაც, რომლებიც მუხრანზე არიან დამოკიდებულნი.

ხოფელელი.

—

ნიგოითი. ყველასათვის აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით დღევანდელ არა ჩვეულებრივ პირობებში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას სოფლათ. ამ მხრივ დიდ დაბრკოლებას განიცდის განსაკუთრებით რკინის გზას მოწყვეტილი სოფლები. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ თითო კვირაობით გაზეთებს ვერ ნახავ. ამ დაბრკოლებისათვის რომ თავი დაგვეხწია დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სადგ. ნიგოითში აგენტურის საშუალებით ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები, როგორც თვით ნიგოითის თემის ყველა სოფლებში და სამკითხველოებში, ისე სოფ. სამებაში, ვანში, ზომლეთში და ეხლა კი დავ მოემატა სოფ. ჭანჭათიც, მაგრამ არ იქნა და ვერ მოგვარდა აქური აგენტურის სასურველ დონეზე დაყენება, მიუხედავათ იმისა, რომ ნიგოითის სადგურს დიდი რაიონი აკრავს. ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მომწერთა რიცხვი მაინც ვერ ასცილებია საშუალოთ 30—35 რაც იწვევს ხშირათ აგენტის უხერხულობას. ამას უნდა დავუმატოთ ის მიზეზი კიდევ, რომ აგენტთან თავის დროზედ ვერ შეაქვთ გაზეთის დასაკვეთი ფული, რის გამო გაზეთი კვირაობით არ მოდის. რომ ჟურნალ გაზეთების გავრცელების საქმე წინ წავიდეს, საჭიროა აღნიშნულ რაიონის ყველა ორგანიზაციებმა იკისრონ მისი მოგვარება. თვით ნიგოითის ორგანიზაციებმა და ერობამ მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ამ საქმეში.

თოფკა.

# წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ ნება თქვენი გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე გაზ. „კლდე"-ში № 2-ში (11 იანვარი) ჩემს წინააღმდეგ მოთავსებულ წერილისათვის ბ-ნ ეგრისელს.

ბ-ნი ეგრისელი ასე იწყებს თავის წერილს: „ბ-ნო რედაქტორო! თუ შესაძლო იქნება და მთავრობის საწყენი არ დარჩება, შემდეგი ამბავი გამოაქვეყნეთ თქვენს პატივცემულ გაზეთშიო". მოჰყვება სასახელო გაზეთ „კლდის" ფურცლებზე ათასნაირ ჭორების შეთხზვას.

რომ საზოგადოებამ უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიოს და თავის უტყუარი დასკვნა შეიტანოს ეგრისელის წერილის ღირსებაში, ამიტომ იძულებული ვარ ცოტა შორიდან დავიწყო.

1919 წელს დაახლოვებით აპრილის თვეში ჩემდამი რწმუნებულ ჯავშნიან მატარებლებზე ნამსახურმა გვარდიელებმა, რიცხვით ოთხმა კაცმა და ერთმა არა ჩემთან ნამსახურმა, მაგრამ საიმედო პიროვნებამ, მისცა თხოვნა. რკინის გზის სამმართველოს, რომელზედაც მე ხელის მოწერით ვამოწმებდი, რომ მთხოვნელები ჩემთან ნამსახური იყვნენ და როგორც საიმედო პიროვნებისათვის დააკმაყოფილებინათ მათი თხოვნა. თხოვნის შინაარსი ის იყო, რომ მათთვის მიეცათ კანონიერი ნებართვა რომელიმე რკ. გზ. სადგურზე „არტელის" სახით ემუშავნათ, რკინის გზის სამმართველომ მათი თხოვნა დააკმაყოფილა რვა თვის შემდეგ, ე. ი. ნოემბერში, თანახმად რკინის გზის არსებულ წესისა, მუშებსა და რკ. გზის სამმართველოს შორის დაიდვა ხელშეკრულება და მუშებს რიცხვით 5 კაცს „არტელის" სახით გადაეცა სადგ. ხეთა (სამეგრელოში) ერთი წლის ვადით, რომლის უფლებაში შედიოდა ბარგის გადატვირთვა-გადმოტვირთვა და სადგურის პატარა „ბუფეტი". ამ ხელშეკრულების შემდეგ სამეგრელოდან თფილისში ამოდის გასულ წელს გარდაცვალებულ ბორჯომის სადგურის უფროსის (ჯომაიას ქვრივი, რომელსაც სურვილი ჰქონდა ხეთაში „არტელში" მუშაობისა, მაგრამ მან როცა გაიგო, რომ სამმართველოს უკვე დაიდო ხელ-შეკრულება ხსენებულ მუშებთან, მორთო ტირილი. როგორც ეს მე გავაგებინე „არტელ[ს]" მათ ის მიიღეს თანასწორ წევრათ. ყოველივე იურიდიული უფლებით აღჭურვილი რკ. გზის სამმართველოდან „არტელი" შეუდგა სად. ხეთის ჩაბარებას, მაგრამ აქ წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივმა ერობის ერთმა წარმომადგენელმა.

დეკემბრის რიცხვებში მე თანახმათ მთავრობის განკარგულებისა უნდა მიმეხედა რკინის გზებისთვის. 5 დეკემბერს სხვათა შორის მე გავემგზავრე სადგურ ხეთისაკენაც, ვინაიდან ცნობა მქონდა, რომ ხობის ხიდის მახლობლათ არიან შემჩნეული პირები (ეს ხიდი შარშან ადგილობრივმა ბანდიტებმა დასწვეს, რომელიც ჩვენ გადავარჩინეთ). ამ დღეს ჩემთან იმოგზაურეს აბაშის ჰრეზიდიუმის თავმჯდომარემ არტ. ფანცულაიამ, მისმა თანაშემწემ ბახვა მიქაძემ და სამტრედიის რაიონის მილიციის უფროსმა მეგრელაძემ. მე იქ ჩასვლის დროს გავიგე მხოლოდ, რომ სამუშაოზე არ დაუშვიათ დასახელებული „არტელი". მე მათ აუხსენი ჩემთან ყოფილ ამხანაგებს თან დასწრებით, რომ მე ეგ საქმე არ მეხება (ამას ისმენდა სადგურის უფროსი და აგრეთვე სხვებიც) თუ რკინის გზის სამმართველოს განკარგულება ვინმემ დაარღვია, მიმართეთ მილიციას და ამ საკითხს ის გამოარკვევს მეთქი. ამ დროს მობრძანდენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მეგრელიაში რკ. გზ. უნდა იყოს მეგრელი მუშა და არა სხვა ვინმე, მე მხოლოდ მათ აუხსენი, რომ ასეთი შურიანობა არ არის დასაშვები მეგრელ-გურულთა შორის.

ეს მუშები კი, რომლებმაც მრავალ ომში ჩემთან ერთად სისხლი ღვარეს რკინის გზის გადასარჩენად, „პოდრაჩიკებად" კი არ მოსულან აქ როგორც ეს ბ-ნ ეგრისელს მოსჩვენებია, არამედ—ისინი თხოულობდენ კურტანში მუშაობას, რაც შეეხება ადგილობრივ მუშების გარეკას ხსენებულ „არტელის" მიერ, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, იქ იყო მხოლოდ ორი მუშა, რომელთაც სურვილი ჰქონდათ „არტელში" ემუშავნათ, ხსენებულმა არტელმა ისინი ყოველ მიზეზს გარეშე მათთან მიიღო და დღესაც ერთად მუშაობენ, რომ ერთნაირი შეთანხმება ყოფილიყო, ამიტომ „არტელმა" დაადგინა მომავალში გარდა მეგრელ მუშებისა არავინ მიეღოთ, იგულისხმებოდა, რომ მუშები ასამდინ იქნებოდა საჭირო. დღესაც ამ „არტელს" შერჩა ოთხი გურული, და სხვანი კი ყველა მეგრელებია, უნდა ითქვას, რომ მისულმა და დამხთურმა მუშებმა მაშინვე გამონახეს ერთმანეთთან შესათანხმებლად საერთო ენა მხოლოდ უკმაყოფილო იყვნენ ისინი, რომლებსაც გურული და იმერელი მეგრელების მტერი ჰგონია. ამით მათ იციან, რომ გურულს და მეგრელს ერთმანეთის უსისინებენ, იციან რას აკეთებენ ეს პატივცემული გვამები.

საინტერესოა ვიცოდეთ, აქვს თუ არა იურიდიული უფლება რკინის გზის სამმართველოს საქმეებში ჩაერიოს ადგილობრივ თემის მმართველობა? და მით უფრო არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდეს რკინის გზის სამმართველოსთან. და სრულიად უკანონოდ მათი განკარგულებით ჩააყენონ უპასუხისმგებლო პირები რკ. გზაში?

ბ-ნ ეგრისელს უკვირს ჩემი ჩასვლა სადგ. ხეთაში, და ამ გაკვირვებას გულის ტკენით აღნიშნავს. „ამაზე მეტი გასაოცარი შეიქნა ბატონი გოგუაძის მოფრიალება ხეთაში ბრონევიკით" ო. დიახ, ბ-ნო ეგრისელო თქვენ არ მოელოდით ალბათ, ამიტომ თუ გაგიკვირდით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე მთავრობის დავალების შემდეგ არ ვსცნობ საჭიროდ თქვენ გამოგთხოვოდ ნებართვა ხეთაში შესასვლელად, თქვენ რომ ხეთა მეორე სახელმწიფოდ არ ჰქონდეთ წარმოდგენილი, მაშინ ასეთ გაოცებას არ გამოსთქვამდით.

ბ-ნი ეგრისელი ეტყობა წერილში მიზანს ასცდენია, მას უბრალო ლოღიკაც კი ვერ დაუცავს, და მის მარგალიტებით აკინძულ წერილს ასე ათავებს: მას ჰქონდა საშუალება (ე. ი. მე) სენაკიდან ტელეფონით შეჰკითხებოდა ზუგდიდის ერობას, რაში იყო საქმე, მაგრამ ეს იმან არ სცნო საჭიროდ, როგორც ეტყობა, აქ გურულებზე არის საქმე.

ამაზე იტყვიან ბ-ნო ეგრისელო, ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო.

დასასრულ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ მოგახსენო გაზეთ „კლდის" მესვეურთ. იყო შემთხვევები, რომ ჯავშნიანი მატარებლები საბედისწერო ომებში ეკვეთებოდა სამშობლოს მტრებს, ეს ფაქტი თავის დროს ყველა გაზეთებმა აღნიშნეს, მაგრამ ამ დიდებითი მხარეზე სიტყვაც არ დაუძრავს პატივცემულ გაზეთ „კლდეს". სამაგიეროდ ეგრისელის მიერ შეთხზულ ჭორებს კი სიხარულით დაუთმო ადგილი თავის გაზეთის ფურცლებზე.

ალბად, სული სულს იცნობს. განაგრძეთ წერა და ივორიკანეთ, ეგ ხომ თქვენი ნამდვილი პროფესიაა?

ჯავშნიან მატარებლების უფროსი და რკინის გზის კომენდანტი გოგუაძე.


# განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტის [illegible] კლინიკებისა

## ვ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და სად. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ

ექიმი

## ვ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება სად 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი

## ნ. ლ. ცურ[illegible]

იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და სად. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი ქირურგ. სამკურნალო

## ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) დაფუძ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. აცრა.
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარუკებ-ბებურიშვილი—12—1 საათ (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბორჟეკოვსკაია—12—1 საათ (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
სავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

## ექ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 1[illegible]
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

ექიმი ვ. მ. მშინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 38 (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის

## ა. ა. მონსე

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით: ავადმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10 1/2—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—3)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

## ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 23

თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიასთან არსებული

## სპეციალისტ-მასწავლებელთა ჯგუფი

იღებს ახალ მოწაფეებს სიმწიფის მოწმობისათვის მოსამზადებლად. ჩაწერა სწარმოებს ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მ. კორძახიასთან და ვაჟთა მეექვსე გიმნაზიაში ა. სამსონიასთან ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოობით თვით კურსებზე 5—8 საათამდე. (291—3—1)

## დაიკარგა

პასპორტი მოცემული შუხუთის თემის გამგეობისაგან. საწევრო ბილეთი—ს. ს. დ. მ. პ., სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების მოწმობა. ნებართვა რევოლვერის ტარებისა და სხვა წვრილმანი დოკუმენტები. მნახველს ვთხოვ, რომ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ ბაქო. ბარიატინის ქუჩა № 11. ეფრემი დავითის ძე გვარჯალაძეს. (289—1—1)

განათლება-მოწყალეობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## კომერციული კურსები

## თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ახალი განყოფილება. (3—2)